საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლასურია მუშნი ტაიას ძე

ლასურია მუშნი ტაიას ძე (დ. 16. I. 1938, სოფ. კუტოლი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი), აფხაზი პოეტი, მთარგმნელი. დაამთავრა მოსკოვის მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტი (1965). პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1955, ლექსების პირველი კრებული „აკვანი“ – 1963. ლ-ს ლექსების კრებულებია „იმედი“ (1965), „აბრეშუმის სახლი“ (1967), „ჩანჩქერების დილა“ (1973), „ჩემი აქლემი“ (1988), „ლექსები“ (2000) და სხვ., რ-თა ძირითადი თემებია სამშობლო, ბუნება, სიყვარული. ლექსები გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით.

ლ-მ აფხ. ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (1978, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია, 1981); ი. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“; გ. ლეონიძის, შ. ნიშნიანიძის ლექსები; ჯ. ბაირონის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის ნაწარმოებები და სხვ. ლ-ს ლექსები თარგმნილია ქართ. და სხვა ენებზე.

თხზ.: ლექსები, თბ., 2000.

ლ. ავალიანი